პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 11 (399) პარასკევი, 17 მარტი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდა 12 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

საბჭოთა ხალხმა აღფრთოვანებით მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საყოველთაო-სახალხო დეპუტატი

საბჭოთა დემოკრატიის ზრიუმფი

დიდი სტალინური ეპოქის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერება 1950 წლის 12 მარტი. ამ დღეს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს მშრომელებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს თავიანთი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ჩაიარა, როგორც სახალხო საყოველთაო-სახალხო დღესასწაულმა. ამ საზეიმო დღეს ბედნიერი საბჭოთა ხალხის თვალი მიპყრობილი იყო მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქისადმი, სადაც უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრიდა საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადი მშობლიური სტალინი.

ხმა მისცეს რა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს, გამარჯვებულმა საბჭოთა ხალხმა, ამით ხმა მისცა ბოლშევიკური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას, ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას, მშვიდობას მთელს მსოფლიოში, კომუნიზმის დიადი შენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებას.

ამომრჩეველთა მაღალ აქტივობაზე, ორგანიზებულობასა და შეგნებულობაზე მეტყველებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა, რომელშიც მკაფიოდ შეჯამებულია უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები. ასეთი აქტივობა და ორგანიზებულობა, ამომრჩეველთა ასეთი შეგნებულობა არ ახსოვდა და არ ახსოვს არც ერთ სახელმწიფოს მსოფლიოში.

არჩევნები გადაიქცა საყოველთაო-სახალხო ზეიმად, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმის ახალ ტრიუმფად.

12 მარტს მილიონობით საბჭოთა ადამიანებმა ერთსულოვნად ხმა მისცეს ბრძნულ სტალინურ საგარეო პოლიტიკას, ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობას.

დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის წინ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში

მშობლიური სტალინის სახელით

12 მარტი... ამ დღეს დილადრიან მოსკოვი ზეიმურად გამოიყურებოდა. ღამით მოსული თოვლით შეთეთრებული ქუჩები და მოედნები გაჩირაღდნებული და სადღესასწაულოდ მორთული იყო.

როდესაც კრემლის კურანტებმა ექვსჯერ ჩამოჰკრეს, დიად ქალაქში გაისმა საბჭოთა კავშირის ჰიმნის სახეიმო მელოდია. მოსკოვს უკვე აღარ სძინავდა. ასობითასობით ადამიანი იცდიდა ხმის მისაცემ შენობებთან. ქუჩებში სიმღერით მიდიოდა ახალგაზრდობა. დადგა დღე, რომელსაც მღელვარებით მოელოდა მთელი ჩვენი ქვეყანა.

ამ დღისათვის საბჭოთა ადამიანები ემზადებოდნენ, როგორც დიდი დღესასწაულისათვის. მიღებული სახელოვანი ტრადიციის თანახმად მას შეხვდნენ ახალი შრომითი საგმირო საქმეებით, გამოხატეს რა ამით უსაზღვრო ერთგულება დიდა-სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი.

* * *

დედაქალაქის სტალინის საარჩევნო ოლქი... ეს არის მოსკოვის ორი დიდი რაიონი — სტალინის და ბაუმანისა. აქ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის საყოველთაო-სახალხო კანდიდატი ი. ბ. სტალინი. ამ საარჩევნო ოლქისაკენ იყო მიპყრობილი მილიონობით საბჭოთა ადამიანის თვალი.

დილის ექვსი საათია. იღება საარჩევნო უბნების შენობათა კარები. ყუოებთან მიდიან პირველი ამომრჩეველნი. ჩაუშვებენ რა ბიულეტენებს, რომლებზედაც აღბეჭდილია დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატის ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელი, ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის სახელი, ისინი ერთხანს რჩებიან ნათელ, მზრუნველობით მორთულ შენობებში, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ფიქრებს, განცდებს, ლაპარაკობენ შრომითს გამარჯვებებზე.

— მოგილოცავთ დღესასწაულს!

— თქვენც მოგილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს!

უცნობნიც კი გამოელაპარაკებიან ხოლმე ერთმანეთს. ეს დღე ყველას აახლოებს.

ბრუნდებიან რა შინ, ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ფიქრებსა და გრძნობებს. მესამე სატრიკოტაჟო ფაბრიკის ხნიერი მუშა ქალი მ. ფ. კალგანოვა თავის თანამგზავრებს უამბობს:

— სულით და გულით მივეცი ხმა მშობლიურ სტალინს. დაე ცოცხლობდეს იგი მრავალ, მრავალ წელს. ბევრი გაჭირვება და ვაება გამომიცდია რევოლუციამდე. 9 წლის ვიყავი როცა გავედი „ხალხში“ — დავიწყე მუშაობა ბავშვების მომვლელად. ყველაფერი გამოვცადე — შიშილიც, სიცივეც, ცემაც. ახლა კი დამსახურებული მუშა ვარ, ჩემი ქვეყნის სრულუფლებიანი. ბატონ-პატრონი. ჩემი შვილები ისე ცხოვრობენ, როგორც მე ბავშვობისას ოცნებაც კი არ შემეძლო. მადლობა ითსებ ბესარიონის-ძეს ჩვენი ბედნიერი ცხოვრებისათვის.

დღის 12 საათისათვის თავისი მოქალაქეობრივი ვალი შეასრულა ოლქის უკლებლივ ყველა ამომრჩეველმა. მათთან ერთად სტალინის საარჩევნო ოლქში ნაშუადღევის 1 საათისათვის „ხმის მიცემის უფლების მოწმობით“ ხმა მისცა 22 ათასმა მოქალაქემ.

დიდ სტალინს ხმა მისცა მთელმა საბჭოთა ხალხმა.

„მოსკოვი. სტალინის საარჩევნო ოლქი“. ათობითი დეპეშა მიღებულია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან არჩევნების დღეს ამ მისამართით:

— ვუოლავთ სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს,—სწერენ ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშაკები.

— ხმას ვაძლევთ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ჩვენ სულით და გულით ვაძლევთ ხმას ჩვენს ბელადს, მასწავლებელს, საყვარელ ამხანაგ სტალინს,— გზავნიან დეპეშას ბრიანსკის ოლქის კლინცოვოს რაიონის დუშკინოს საბოსტნო საბჭოს ამომრჩევლები.

მისასალმებელი დეპეშები მიღებულია ლენინგრადიდან, როსტოვიდან, სტალინგრადიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან.

* * *

ასევე ერთსულოვნად ჩატარდა არჩევნები დედაქალაქის მოლოტოვის, ლენინგრადისა და კალინინის საარჩევნო ოლქებში, სადაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრიდნენ დიდი სტალინის თანამებრძოლნი — ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი.

მოსკოვის ლენინის, კრასნაია პრესნას, სვერდლოვის, კიროვის, მოსკვარეჩიეს, ფრუნზეს, საბჭოთა, კიევის, ძერჟინსკის, კუიბიშევის, სოკოლნიკის, შჩერბაკოვისა და ოქტომბრის საარჩევნო ოლქებში ნაშუადღევის 4 საათისათვის მიცემული ჰქონდა ხმა ყველა ამომრჩეველს.

საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის მკაფიო დემონსტრაცია

საზეიმო ვითარებაში შეხვდა მზიური საქართველოს გული — თბილისი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს. ყველგან მოსჩანს საყოველთაო-სახალხო კანდიდატის, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის დიდი სტალინის პორტრეტები. საზეიმო განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებს ქალაქის ერთ-ერთ ამაღლებულ ადგილზე გაკეთებული წარწერა „დიდება დიდ სტალინს!“. ამ საყოველთაო-სახალხო მისალმების სიტყვებს გულით ატარებს ყოველი საბჭოთა ადამიანი. არაჩვეულებრივად ადრე გაღვიძა ამ დღეს თბილისმა. როცა ინათა ათასობით ამომრჩეველი გაემართა იმ შენობებისაკენ, სადაც მოთავსებული იყო საარჩევნო უბნები.

ძველი სახელოვანი ტრადიციის თანახმად მშრომელებმა ეს დღე აღნიშნეს ახალი შრომითი საგმირო საქმეებით, რომლებშიც გამოხატეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის გმირი პარტიისადმი, მშობლიური დიდი სტალინისადმი.

თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქი... იგი მოიცავს თბილისის ოთხ უდიდეს რაიონს. აქ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის უკვდავი ლენინის მოწაფე დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

პლეხანოვის სახელობის კლუბში, სადაც მოთავსებულია № 29 საარჩევნო უბანი, ზუსტად 6 საათზე დაიწყო ხმის მიცემა. აქ ხმას აძლევენ საქართველოს უძველესი საწარმოს — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები და მოსამსახურენი. ამ ქარხნის ისტორია განუყრელად დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან.

საარჩევნო ბიულეტენს ერთ-ერთი პირველი იღებს ქარხნის ზეინკალი იავორ ვასილის-ძე ხუბულური—იმ რევოლუციური წრეების მონაწილე, რომლებსაც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა. მოიხადა რა თავისი მოქალაქეობრივი ვალი, ამბ. ხუბულური მივიდა ახალგაზრდა ამომრჩევლებთან.

— ამხანაგმა სტალინმა, — განუცხადა ახალგაზრდებს ქარხნის ძველმა მუშამ, — დაგვრაზმა ჩვენ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის ბნელი ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად, ბედნიერი და სახიბარული ცხოვრებისათვის, რომლის სიკეთით ამჟამად სარგებლობს მთელი საბჭოთა ხალხი.

თბილისის ბერიას სახელობის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებში, სადაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი, არჩევნების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე იწყო მოსვლა ასობით ამომრჩეველმა. საზეიმო ვითარებაში დაიწყო ხმის მიცემა ამ საარჩევნო უბანში. აქ საარჩევნო ბიულეტენი პირველმა ჩაუშვა ყუთში 70 წლის პენსიონერმა მარიამ ითსების ასულმა მალაშვილმა. შემდეგ იგი მივიდა საარჩევნო კომისიის წევრებთან და განაცხადა:

—მე სიხარულით მივეცი ხმა ბოლშევიკური პარტიის ერთგულ შვილს დიდ სტალინს, ხმა მივეცი ნესტორის-ძე ჩარკვიანს. ხალხთა ძმურ ოჯახში დაე კიდევ უფრო აყვავდეს და განმტკიცდეს საბჭოთა საქართველო.

* * *

დიდ სტალინზე ფიქრებით, კანონიერი სიამაყის გრძნობით ცხოვრობენ და შრომობენ ბელადის სამშობლოში. გორის მცხოვრებნი გაემართნენ საარჩევნო უბნებისაკენ. საარჩევნო უბანში, რომელიც მოთავსებულია სწორედ იმ ისტორიული სახლის წინ, სადაც ამბორწყინდა სტალინური ეპოქის მზე, მოვიდა ბოლშევიკური პარტიის ძველი წევრი მიხეილ ეფრემის-ძე ბლუაშვილი თავისი ოჯახით. მიიღეს რა არჩევნებში მონაწილეობა, შემდეგ ისინი გაემართნენ ისტორიული სახლისაკენ, რომ უფრო ღრმად აღიბეჭდონ გულში დიდი ბელადის სახე, მის მშობლიურ კერაში გამოსთქვან კაცობრიობის უდიდესი ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარული და მადლობა.

სადღესასწაულო ვითარებაში ჩატარდა ხმის მიცემა ქ. ბათუმის ყველა საარჩევნო უბანში.

ქ. სოხუმის მშრომელები დიდი სტალინის სახელით გულში გაემართნენ საარჩევნო უბნებისაკენ.

ქართველმა ხალხმა ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად სიხარულით მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, რითაც მან ერთხელ კიდევ ნათლად ცხადჰყო თავისი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ბრძენი ბელადის, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის დიდი სტალინისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად

სპორტულ ასპარეზობათა ფინიშთან...

* ☆ *

ამანათით ქალაქის ქუჩებში

ლ. ჰ. ბერიას სახელობის მოედანზე აუარებელ ხალხს მოუყრია თავი. აქ დანიშნულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი ამანათრბენის „თბილისის რგოლის“ სტარტი.

12 საათია. მთავარი მსაჯი ამხ. თ. მაჩაბელი იძლევა შეჯიბრების დაწყების ნიშანს. 39 გოგონა ერთბაშად მოუყვა ადგილს. ისინი გაემართნენ რუსთაველის პროსპექტისაკენ. პირველობისათვის ბრძოლა გაიმართა ფიზკულტურის ინსტიტუტის, ფიზკულტურის ტექნიკუმისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მძლეოსნებს შორის.

ლიდერობენ ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები. უკან დარჩა ჯორჯიაშვილის ქუჩა, კ. მარქსის სახელობის ხიდი, სტალინის სახელობის სანაპირო, პუშკინის სახელობის ქუჩა... ფინიშთან პირველი მიდის ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის ფრიადოსანი სტუდენტი ქალი თ. ტალიანსკაია. მანძილი 2.350 მეტრი დაფარულ იქნა 6 წუთსა და 31,6 წამში. ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტებმა აჩვენეს 6.34.5. პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლთა დროა 6.55.

მწვავე ბრძოლით ხასიათდებოდა მამაკაცთა ამანათრბენი. იგი მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. სტარტიდან დაწინაურდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნები, მათ კვალდაკვალ მისდევენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები. ამანათი ხელიდან ხელში გადადის. მორბენლები გავიდნენ ჩელუსკინელების სახელობის ქუჩაზე. წინ მიდის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ვ. შაკიძე. მას 50-60 მეტრით ჩამორჩება პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი კ. ჩოჩაროვი. ვ. შაკიძე „იცავს“ ქუჩის მოძრაობის წესებს — მილიციელს მარჯვნიდან უვლის, კ. ჩოჩაროვი მოედანს პირდაპირ სჭრის და იგებს რამდენიმე მეტრს...

უკანასკნელ ეტაპზე ამანათს პირველი იღებს ფიზკულტურის ინსტიტუტის საუკეთესო მორბენალი სტუდენტი მენაღარიანი, მას 40-50 მეტრით ჩამორჩება სპორტას ოსტატი ლევან სანაძე.

ფინიშამდე ასიოდე მეტრი დარჩა. სანაძე იკრებს მთელ ძალონეს, სწრაფად ეწევა წინწასულს, ასწრებს მას და ფინიშის ლენტს პირველი არღვევს.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წარმომადგენლებმა მანძილი გაირბინეს 19 წუთსა და 08,8 წამში, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა აჩვენეს 19.11,0. მესამე ადგილი სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენებს დარჩათ.

გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტის სიგელები.

წლევანდელი ამანათრბენი წინა წლების შეჯიბრებებიდან განსხვავდებოდა მონაწილეთა სიმრავლით. ამანათრბენში მონაწილეობა მიიღო 90 ძირეული კოლექტივის 1.200 მძლეოსანმა.

ს. ალექსიშვილი

ლ. სანაძე ფინიშზე.

თ. ტალიანსკაია ფინიშზე.

*

12 მარტი... მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად ამ დღეს აღტაცებითა და სიხარულით მოელოდნენ ჩვენი ფიზკულტურელები და სპორტსმენები. ისინიც ახალი მიღწევებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. ამ ხალრთო-სახალხო დღესასწაულისათვის მზადებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს მეთხილამურეებმა და მორბენლებმა, ავტოსპორტის ოსტატებმა და ქვეითი ლაშქრობის მოყვარულებმა, მოჭადრაკეებმა, ძალოსნებმა...

ახალი კოლექტივების ჩამოყალიბებით და ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი აღმავლობით აღინიშნა ეს ძვირფასი თარიღი.

არჩევნების დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებანი დიდი აღმავლობითა და წარმატებით ჩატარდა ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და სასწავლებლებში, რკინიგზის ტრანსპორტსა და ახალშენებლობებზე.

არჩევნების სპორტულ მომსახურების შესახებ მოგვითხრობს ამ გვერდში მოთავსებული მასალები.

რაიონებში

ქვეითი გაღასვლა

ამ დღეებში ხაშურის ფიზკულტურა აღზრდის პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლეებმა მოაწყეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი საგზაო-საკროსო ქვეითი გადასვლა მარშრუტით: ხაშური—სურამი—იტრია—ხაშური.

ვ. კიკნაძე

მოსწავლეთა შეჯიბრება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად თელავის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში ჩატარდა სათხილამურო შეჯიბრება 1.000 მეტრზე რბენაში.

პირველობა მოიპოვა XI კლასის მოსწავლემ ვ. ოჭარენკომ.

ა. მაისურაძე

ჭალრაკის დაფასთან

საჩხერის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ტურნირი, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი.

ტურნირში I-II ადგილი გაიყვეს ვ. ოვანოვმა და შ. ოვანოვმა. მესამე ადგილზე გამოვიდა შ. ხვედელიძე.

ი. მღებრიშვილი

502 კილომეტრი თხილამურებით

19 თებერვალს ბაკურიანიდან გავედით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი სამთო-სათხილამურო ლაშქრობის მონაწილენი. ჯგუფში შედიოდნენ ალპინიზმის უფროსი ინსტრუქტორი კ. ასტახიშვილი (ხელმძღვანელი), გ. ჯაფარიძე, ი. სულიაშვილი, სტუდენტები ჯ. ჯაფარიძე, თ. ტატიშვილი, ე. ცერცვაძე, კ. ქაჩლიშვილი, გ. ხარჩილაძე, შ. ტრანკაშვილი, ს. ჭოჩლაძე და ს. ლურსმანიშვილი.

ძნელად სავალ მთიან რაიონებში უნდა გაგვევლო 502 კილომეტრი მარშრუტით: ბაკურიანი — ციხისჯვარი — კოდის გადასავალი — აწყურა — ახალციხე — აბასთუმანი — ზეკარის გადასავალი — მაიაკოვსკი — ქუთაისი — ტყიბული — ნაქერალას გადასავალი — ამბროლაური — ონი — ჯავა — სტალინირი — გორი — მცხეთა — თბილისი.

დილა ადრიან გავუდექით გზას, მივაღწიეთ სოფელ ციხისჯვარს და დავიწყეთ მზადება კოდის გადასავალის იერიშისათვის. მეორე დღეს უთენია შევუდექით აღმართებს. ძლიერი ჰირჩარი და ღრმა თოვლი აძნელებს სვლას. ყოველი 15-20 ნაბიჯის შემდეგ ვცვლით მეწინავეს, გადავლახეთ ყოველგვარი სიძნელე და ჩავედით აწყურაში.

გადასვლის მესამე დღეს ჩავედით ახალციხეს. აქ ჩავატარეთ საუბრები არჩევნების შესახებ, მოვაწყეთ ამხანაგური შეხვედრა ქალაქის ფრენბურთელთა კოლექტივთან.

დილით კვლავ განვაგრძეთ გზა... უკან დარჩა აბასთუმანი. წინ გვიდევს მარშრუტის ურთულესი მონაკვეთი — ზეკარის გადასავალი. სოფელ ზეკარამდე 45 კილომეტრია. ზღვის დონიდან 2.380 მეტრის სიმაღლეზე მივარღვევთ 2 მეტრის სისქე თოვლს, რომელიც თხილამურის ქვეშ ტყდება და ანელებს იერიშის ტემპს.

დავეშვით მაიაკოვსკის მიმართულებით, გზას კიდევ უფრო აძნელებს ციცაბო დაღმართები და ნამქერით ავსებული ხევები. გვიან საღამოს ჩავედით ზეკარში. მცხოვრებნი გაკვირვებულნი გვხვდებიან. მათ არ ახსოვთ ასეთ დროს ვინმე გადმოსულიყო „რკინის ჯვარზე“. გვიანობამდე ვესაუბრებით სტუმართმოყვარე მასპინძლებს.

დილით განვაგრძობთ გზას. მაიაკოვსკში გვიერთდებიან გამოცდილი მეთხილამურე-მთასვლელები ა. ნემსიწვერიძე და დ. ობოლაძე. საღამოს ჩავედით ქუთაისში, შევაკეთეთ დაზიანებული თხილამურები, შევისვენეთ და გავწიეთ ტყიბულისაკენ.

შორიდან მოჩანს ქალაქის თავზე კედელივით აღმართული ნაქერალას ციცაბო ფერდობები. მღელვარებით ვათვალიერებთ ჰირქუშ კლდეებს, გზადაგზა ვადგენთ მისი იერიშის გეგმას.

ტყიბულის მცხოვრებლები გულთბილად გვხვდებიან, ვატარებთ მათთან საუბრებს. ერთ დღეს ვისვენებთ და ვემზადებით ნაქერალას იერიშისათვის.

გათენდა ზამთრის სუსხიანი დილა. ვიწყებთ პირქუშ ნაქერალაზე ასვლას. იერიშის უყვლა მონაწილე თამამად მრაბოჯებს ღრმა ნაპრალების თავზე. ღრმა თოვლში მუხლებამდე ვეფლობით. გზადაგზა ვათვალიერებთ მრავალ საინტერესო ისტორიულ ადგილს.

საღამოს დაღლილნი, მაგრამ ნასიამოვნებნი ჩავედით ამბროლაურში. აქაც გულთბილი შეხვედრა, საუბრები. ვისვენებთ ერთ დღეს. გადასვლის ხელმძღვანელი კ. ასტახიშვილი რაიონის ახალგაზრდობას ესაუბრება სათხილამურო სპორტის შესახებ.

28 თებერვალს 10 ამბროლაურელი მეთხილამურე გვაცილებს ონამდე. ვატარებთ საუბრებს, კვლავ ერთ დღეს ვისვენებთ და 2 მარტს მივემართებით სტალინირისაკენ. აქ უკვე თოვლი გამდნარა, გზას განვაგრძობთ ველოსიპედებით. გორზე და მცხეთაზე გავლით 5 მარტს 14 დღის ლაშქრობის შემდეგ 11 საათსა და 45 წუთზე შევდგართ დედაქალაქის ქუჩებში. აუარებელი ხალხი გვხვდება ლ. ჰ. ბერიას სახელობის მოედანზე. ემართება ხალხმრავალი მიტინგი.

ლაშქრობა დამთავრებულია!

ნ. ცერცვაძე,
ლაშქრობის მონაწილე.

შეხვედრები რინგზე

ბათუმის სახელმწიფო ცირკში სამ დღეს მიმდინარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი თანრიგოსანთა და მოზარდთა პირველობა კრივში, რომელსაც 3.000-ზე მეტი ამომრჩეველი დაესწრო. რინგზე გამოვიდა 50 მოკრივე.

შეჯიბრებაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ფაბრიკუსის სახელობის კლუბთან არსებულმა მოკრივეთა გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ „დინამო“ წარმომადგენლები, მესამეზე—საზღვაო სასწავლებლის სპორტსმენები, ხოლო მეოთხე ადგილზე შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივი.

მოზარდთა შორის საუკეთესო შედეგები ჰქონდა ბავშვთა სპორტული სკოლის პირველ გუნდს.

ფიზკულტურისა და სპორტის ბათუმის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ჰ. იოსელიანმა შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდებს გადასცა ვიმპელები და სიგელები.

რინგზე 20 წლის ნაყოფიერი მუშაობისა და ახალგაზრდა მოკრივეთა აღზრდისათვის კომიტეტმა საპატიო სიგელით და ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვა ფაბრიკატუსის სახელობის კლუბის მოკრივეთა გუნდის მწვრთნელი რ. ბიძიანი. სიგელი გადაეცა აგრეთვე ბავშვთა სპორტული სკოლის მოკრივეთა გუნდის მწვრთნელს რ. ბასილაიას.

ჯ. მახვილაძე
ბათუმი

ჟურნალისტთა გურნირი

ამას წინათ პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ კლუბში ჩატარდა საჰადრაკო მატჩი გაზეთების „კომუნისტისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციების ნაკრებ გუნდებს შორის, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი.

შეჯიბრება დამთავრდა „კომუნისტის“ გუნდის სასარგებლოდ ანგარიშით 8½ : 7½.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტმა კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან ერთად საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მზადების დღეებში მოაწყო საავტომობილო ავტო - მოტოგადარბენა მარშრუტით: თბილისი — დიდი ლილო — ნორიო — მარტყოფი — კოჯორი — თბილისი.

გადარბენაში მონაწილეობდნენ ავტო-მოტოკლუბის სპორტსმენები და ავტომოყვარულნი.

...დილის 9 საათია. ვაგზლის მოედანზე ჩამწკრივებულან წითელი დროშებითა და ლოზუნგებით მორთული სამამული მარკის მოტოციკლები, ავტომანქანები — „მოსკვიჩები“, კომფორტაბელური „პობედები“.

გადარბენის კომანდორის ამხ. ვ. კიკნაძის ნიშანზე კოლონა მწყობრად დაიძრა. მალე ქალაქი უკან მოვიტოვეთ... კახეთის მოასფალტებულ გზატკეცილზე სწრაფად მისრიალებენ მანქანები. გზატკეცილის ორივე მხარეს მჩქეფარე ნაკადად დუღს მშენებლობა. გუშინ აქ ტრამალი მინდვრები იყო. დღეს კი უშველებელ კორპუსებს დაინახავთ. ეს სამგორის სარწყავი სისტემის მშენებელთა საცხოვრებელი ბინებია.

კახეთის გზატკეცილის მოასფალტებული ლენტი მარჯვნივ მოვიტოვეთ. კოლონა დიდი ლილოსაკენ მიემართება. აი, გორაკებზე შეფენილი კეთილმოწყობილი სოფელიც გამოჩნდა. გზაჯვარედინებზე გვეგებებიან წითელყელსახვევიანი პიონერები, რომელნიც წითელი ალმებით გვიჩვენებენ გზას. კულტურის სახლის მშენიერი შენობის წინ გვხვდებიან მწყობრად დარაზმული პიონერები, რომელნიც წკრიალა ხმებით გვესალმებიან. კლუბის დიდ დარბაზი სავსეა კოლმეურნეებით, სამგორმშენის მუშებით, მოსწავლეებით. იმართება სახელდახელო მიტინგი.

ტრიბუნაზეა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის სამხედრო-ფიზკულტურული განყოფილების გამგე ამხ. გ. გოგაური. მომხსენებელი დამსწრეთ აცნობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების ნ. ი. მუხელიშვილის და გ. ნ. ზამბახიძის ცხოვრებასა და საქმიანობას, მათ დამხახურებას მშრომელი ხალხის წინაშე. იგი მოუწოდებს უველა ამომრჩეველს ხმა მისცენ სტალინური ბლოკის კანდიდატებს. დარბაზში ოვაციების ქარიშხალი ამოვარდა: „დიდება ჩვენს საყოველთაო-სახალხო კანდიდატს დიდ სტალინს!“. „გაუმარჯოს ჩვენს საამაყო შვილს ლავრენტი პავლესძე ბერიას!“, — გაისმის შეძახილები. თბილისის ფიზკულტურელთა სახელით დამსწრეთ მიესალმა ინჟინერი ს. დავარაშვილი.

მიტინგის შემდეგ საქართველოს სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა — გადარბენის მონაწილეებმა — გამართეს კონცერტი. ოსტატობით შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა ცეკვებმა და სიმღერებმა ლილოელთა აღტაცება გამოიწვია.

მახპინძლები სიმღერით გვაცილებენ. მანქანები სამგორის ველზე მიჰქრიან. რამდენიმე ადგილას გადავსერეთ სამგორის სარწყავი არხი.

შევდივართ ნორიოში. ერთსაათიანი მიტინგის შემდეგ მივემგზავრებით მარტყოფში, იქიდან კი დედაქალაქში გავლით — კოჯორში. კულტურის სახლი სავსეა სამშენებლო სახლთა აღსაზრდელებით, საშუალო სკოლების მოსწავლეებით, მშრომელებით. მოსწავლეთა სასუქლე ორკესტრი ახრუელებს სახელმწიფო ჰიმნს. იწყება მიტინგი.

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორი ამხ. ვ. გაგუა დამსწრეთ ესაუბრება მსოფლიოში უველაზე დემოკრატიული საბჭოთა არჩევნების შესახებ, კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატების ნ. ი. მუხელიშვილის და გ. ნ. ზამბახიძის ცხოვრებისა და მათი საქმიანობის შესახებ.

მიხასიათებელი სიტყვებით გამოვიდნენ ინჟინერი ამხ. ხ. დავარაშვილი და კოჯორის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ც. კაჭახიძე. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

მზე ჩაესვენა ჯავახეთის მთებს იქით... ცა გაიცრიცა და ჩამუქდა. მანქანები სწრაფად ეშვებიან თავქვე. შორს, ქვევით, ციცინათელებივით აელვარდნენ დედაქალაქის უთვალავი ლამპიონები. გადარბენის მონაწილენი კმაყოფილნი იმით, რომ მათაც შეიტანეს თავიანთი წვლილი უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში, კმაყოფილნი დაბრუნდნენ ჩვენი რესპუბლიკის გულში.

დ. გულისაშვილი
(ჩვენი სპეც. კორ.).

მომზადებული შევხვდეთ ზაფხულს!

აღლოვდება სპორტული ზაფხული — ფიზკულტურული მუშაობის ყველაზე ინტენსიური დრო. მალე მჩქეფარე ნაკადად გაიშლება სიცოცხლე სტადიონებზე, მოედნებზე, ჩოგბურთის კორტებზე... საზაფხულო მუშაობის აღმავლობა დიდადაა დამოკიდებული სპორტული ბაზების რაოდენობასა და მდგომარეობაზე. ურომლისოდ წარმოუდგენელია საკავშირო პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ გადაწყვეტილებათა შესრულება, რომლებიც ითვალისწინებენ ჩვენი ქალაქის მასობრივი სპორტისათვის, ახალი რეკორდებისათვის შეუპოვარ ბრძოლას.

როგორ ემზადებიან საზაფხულო სეზონისათვის ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტული ბაზები?

გასულ შემოდგომაზე ქალაქი გამოდიოდა მთელი რიგი სპორტული შეჯიბრებებით: დიდი რაოდენობით აიგო კალათბურთ-ფრენბურთის კომბინირებული მოედნები, ტრამპლინ-ტრამპლინების სამმართველოს ფიზკულტურელთა ინიციატივით ბაზები შენდება ქალაქის ყველა პარკსა და ბაღში, დიდ საწარმოებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში.

სპორტული ბაზები კომუნართა ბაღში, ტრიკოტაჟის კომბინატში, 26-ე ვაჟთა საშუალო სკოლაში კარგ მდგომარეობაში არის და უკვე ახლა შეიძლება მათი გამოყენება მეცადინეობისათვის. გარდა უმარტივესი მოედნებისა ქალაქმა მიიღო რამდენიმე ფეხბურთის საწყრთნელი მინდორი, რომელთა დიდი ნაკლებობა იგრძნობოდა ამ უკანასკნელ დრომდე. ასეთი მოედნები საკუთარი ძალებით მოამზადეს კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, სტალინის სახელობის ორთქლმავალთა გონსარემონტო ქარხნის, ჩაის საწონი ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა სპორტსმენებმა.

სტალინის სახელობის სანაპიროზე მდებარეობს „დინამოს“ ახალი საოგბურთო სტადიონი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა საბჭოთა კავშირში. როგორც კი გაღნა თოვლი და გაშრა ნიადაგი, აქ განახლდა რეგულარული საწვრთნელი მეცადინეობა. დასასრულს უახლოვდება შესანიშნავი პავილიონის მშენებლობა, სადაც მთავრდება ყველა დამხმარე შენობა (სამსაჯო, გასახდელი, საბაბაზანო, დასასვენებელი ოთახები და სხვ.).

სეზონისათვის კარგად მოემზადა თბილისის „დინამოს“ სტადიონი (დირექტორი სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. შავგულიძე). ჯერ კიდევ გასული წლის სეზონის დამთავრებამდე დაწყებული იყო სამუშაოები ტრიბუნების შესაკეთებლად. ეს სამუშაო ახლა უკვე დამთავრებულია. კარგად არის მოწყობილი ტანვარჯიშის, ჭიდაობის, კალათბურთისა და სხვა სასპორტო დარბაზები. დასასრულს უახლოვდება სამუშაოები მძლეოსნური სექტორების, სარბენი ბილიკისა და სახტომი ორმოების კეთილმოწყობისათვის. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე საფეხბურთო (საწვრთნელი) მოედანი, სადაც კალენდარული თამაშებიც ტარდება, საჭიროებს მეტ ყურადღებას: აუცილებელია მისი შემოღობვა, სახურველია თუნდაც ერთი რიგი დასაჯდომების მოწყობა და სხვ.

მაუდის ფაბრიკისა და 26 კომისრის სახელობის რაიონის სტადიონებზე კარგ მდგომარეობაშია ფეხბურთის მოედნები, მაგრამ 26 კომისრის სახელობის რაიონის სტადიონზე უყურადღებოდ უნდა მიეტეცეს სათამაშო მოედნებსა და სარბენი ბილიკის კეთილმოწყობას.

გასულ წლებში არაერთხელ იწერებოდა ლენინის სახელობის სტადიონის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ. 1949 წლის სეზონში აქ შეუძლებელი იყო სპორტული სექციების ნორმალური სახწავლო მუშაობის წარმოება. სტადიონი მომავალი სეზონისათვის კვლავ ცუდად ემზადება. რემონტს მოითხოვს აგრეთვე სექტორები, გასახდელები, შენობასა და განახლებას საჭიროებს მძლეოსნური ინვენტარი.

ჯერ კიდევ „მძინარე“ ემზადებიან ზაფხულისათვის ქალაქის რამდენიმე სხვა სპორტულ მოედნებზე. ასე მაგალითად, კიროვის სახელობის პარკში კალათბურთის ცენტრალურ სტადიონზე ფერმებიდან ჩამობსნილია ფარები რგოლებით; როდის მოხდება მათი რესტავრაცია. არავინ იცის; ველოსტადიონზე ჭიანურდება დამხმარე შენობის მშენებლობა და სხვ.

მაგრამ ყველაზე მწვავედ დგას წყალგომარდობის მოყვარულთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხი. ცურვა ყოველწლობით სულ უფრო პოპულარული ხდება. თბილისელებს კი უხდებათ ფიზკულტურის პარკში მდებარე მხოლოდ ერთადერთი აუზით სარგებლობა. აუზი კი დღემდე სერიოზულ რემონტს მოითხოვს. თუ ეს ასე გაჭიანურდა, ამან შეიძლება ძალზე დააგვიანოს მოცურავეთა გამოსვლა ღია წყალში.

1950 წლის სასპორტო კალენდარი თავისი მრავალფეროვნებით განსხვავდება წინა სეზონებისაგან. წელს ჩატარდება მრავალი მასობრივი შეჯიბრება, რომელთა მიზანია ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლინება. ამიტომ, საჭიროა სპორტული ბაზების რემონტისა და მომზადების საკითხების დროულად გადაჭრა. ეს მეტად საპასუხისმგებლო საკითხი არა მარტო ფიზკულტურული, არამედ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა:

ი. მღებრიშვილი,
ი. აროსია,
შ. შუბლაძე,
ნ. ჯავახაძე.

ჭადრაკი

საქართველოს XI ჩემპიონატი

14 მარტს თბილისის ცენტრალურ ს.შადრაკო კლუბში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს სსრ XI საშადრაკო ჩემპიონატი.

მეორე დღეს შედგა პირველი ტური. უყველაზე ადრე დამთავრდა **არზუმანიან-მალაშხიას** პარტია. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ოსტატობის კანდიდატების **ბლაძიძისა** და **ბუსლაევის** პარტიაში თეთრებმა აირჩიეს ე. წ. „ოთხი რაინის“ დებიუტი. მოწინააღმდეგემ უპასუხა რუბინშტეინის ვარიანტით. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე თბილისის ჩემპიონის ოსტატობის კანდიდატის **სოროკინის** შეხვედრა **კირკიტაძესთან.**

ცხარე ბრძოლა გაიმართა **კრიხელსა** და **გერშკოვიჩს** შორის. გამარჯვება ხვდა გერშკოვიჩს. დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია ჩემპიონატის უხუცესმა მონაწილემ **ალამალიანმა ქარსელაძესთან.**

საინტერესო იყო პირველთანრიგოსნების **ტიმოფეევისა** და ჩემპიონატის უყველაზე ახალგაზრდა მონაწილის **არნშტეინის** შეხვედრა. ტიმოფეევმა მოსაგებ პოზიციას მიაღწია, მაგრამ 5-საათიან დაძაბულ ბრძოლაში მოიქანცა, დაუშვა უხეში შეცდომა, რის შედეგად დაკარგა ლაზიერი და პარტიაც წააგო.

ოსტატობის კანდიდატების **გოთრაგაძისა** და **შიშოვის** პარტია გადაიდო რთულ პოზიციაში. გადადებულია აგრეთვე **გაგუა-ინწკირველის** პარტია.

საოლქო პირველობა შაშში

სტალინირი. აქ დამთავრდა სამხრეთ ოსეთის პირველობა შაშში. მონაწილეობდა ოლქის 10 უძლიერესი მოთამაშე. ცხარე ბრძოლების შემდეგ გამარჯვება მოიპოვა გასული წლის ჩემპიონმა ო. გასიევმა. მეორე ადგილზე გამოვიდა მე-10 კლასის მოსწავლე მ. ცხოვრებოვი.

ნ. ზადიშვილი

დადგა სპორტული გაზაფხული. თბილისში, ხობუმში, ბათუმში წინასასეზონო წვრთნას გადიან ფეხბურთელები, მძლეოსნები, ველოსიპედისტები... ჩვენი რესპუბლიკის სამთო კურორტ ბაკურიანში კი მეთხილამურენი კვლავ ერთმანეთს ეჯიბრებიან სლალომში, სწრაფდაშვებაში და ტრამპლინიდან ხტომებში სურათზე: სათხილამურო გასეირნება ბაკურიანში.

ფოტო კ. ხარაზიშვილისა

ბურთი ბაღეზეა

„დინამოს“ დარბაზში დამთავრდა ზამთრის საქალაქო პირველობა ფრენბურთში (I ჯგუფი), რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის, „დინამოს“, „ნაუკას“ I და II, ქალაქის განათლების განყოფილების ვაჟთა და ქალთა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ვაჟთა და „ტრუდის“ ქალთა კოლექტივები.

ამას წინათ გაზეთი „ლელო“ ქალაქის უძლიერეს გუნდთა მატჩის შესახებ ანგარიშში წერდა ზოგიერთი მოთამაშის უდისციპლინობისა და ცუდი მსაჯობის შესახებ. წინათ შემდგარ შეხვედრებთან განსხვავებით საანგარიშო შეჯიბრებები მაღალ ორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე ჩატარდა (მთავარი მსაჯი სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ფალავანდიშვილი). როგორც ჩანს, გაზეთის გამოსვლას არ ჩაუვლია ფრენბურთელთა და, პირველ რიგში დინამოელთა ყურადღების გარეშე, მათ შესაფერისი დასკვნები გამოუტანიათ და თამაშის დისციპლინაც მნიშვნელოვნად აუმაღლებიათ. ამის შედეგად შეჯიბრების მთელ მანძილზე ადგილი არ ჰქონდა დისციპლინის დარღვევის შემთხვევას. ამასთანავე მსაჯთა აპარატი, რომელმაც აითვისა თამაშის ახალი წესები, ხელს უწყობდა პირველობის ზუსტად ჩატარებას.

ქალთა გუნდებს შორის ქალაქის ფიზკულტურის კომიტეტის ჯილდოს მოპოვების უყველაზე უეჭველი პრეტენდენტები იყვნენ დინამოელები და „ნაუკას“ I გუნდი.

ორივე კოლექტივმა ადვილად გაიმარჯვა უყველა მოწინააღმდეგეზე და შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ისინი დაუმარცხებლად შეხვდნენ. ახლა გამარჯვებულნი უნდა შებმოდნენ ერთმანეთს. ორი ლიდერის თამაში არაჩვეულებრივ საინტერესო იყო და ცვალებადი უპირატესობით ხასიათდებოდა.

პირველი პარტია მოიგეს დინამოელებმა (15:11), მეორე — „ნაუკამ“ (15:12). გადამწყვეტ პარტიაში წინ იყო „ნაუკა“ — 6:4... 10:5... 11:6. მაგრამ აქ თავი იჩინა ძალთა უთანასწორობამ: იმ დროს, როცა „დინამოს“ უყველა მოთამაშე თანაბარი ძალისა იყო, „ნაუკას“ მთელი თამაში აგებული ჰქონდა მხოლოდ ძლიერ თავდამსხმელზე (ე. მაისრი), და საკმარისი იყო იგი გადასულიყო თავდასხმის ხაზს უკან, რომ გუნდის შეტევა ჰარმავდა აგრესიასა და სიმახვილეს. ამით ისარგებლეს დინამოელებმა და სწრაფად მოაგროვეს ქულები. მათ არა მარტო ანგარიშას გათანაბრება, არამედ პარტიის მოგებაც (15:11) შეძლეს და ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრეს.

ამავე კლუბების წარმომადგენლები რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფრენბურთელებთან ერთად იბრძოდნენ ვაჟთა შორის პირველი ადგილისათვის. უკანასკნელებმა მოუგეს დინამოელებს 3:1 (15:9; 12:15; 15:7; 15:9) და „ნაუკას“ 3:0 (15:10; 15:10; 15:10) და თავისათვის უზრუნველყვეს პირველი ადგილი.

მეტად მძაფრი იყო „დინამოსა“ და „ნაუკას“ შორის მეორე ადგილისათვის ბრძოლა, რომელიც დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 15:11; 15:9; 16:14.

შ. ახალაძე



პიონერთა სასახლის ნათელ დარბაზებში

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე სიამაყით ატარებს დიდი ჭართველის — ლავრენტი პავლესძე ბერიას სახელს.

სასახლის კეთილმოწყობილი დარბაზები და კაბინეტები მუდამ სავსეა წითელყელსახვევიანი გოგონებითა და ბიჭუნებით. ისინი გულმოდგინედ სწავლობენ მეცნიერებას, ხელოვნებას, ტექნიკას, იღრმავებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას, ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეს, აწრთობენ სხეულს...

აი, დღესაც ფიზკულტურის განყოფილების გამგესთან ამხ. ნ. მახვილაძესთან მოყრძალებით შემოვიდნენ ნაწნავებიანი გოგონები—ქალთა მე-4 სკოლის მეოთხეკლასელები.

— რა გნებავთ, პატარებო? — შეეკითხა მათ ამხ. მახვილაძე.

— მხატვრული ტანვარჯიშის სექციაში გვსურს მეცადინეობა—მოსცხვად განაცხადეს პიონერებმა.

განყოფილების გამგე დაინტერესდა მათი აკადემიური მოსწრებით. პიონერთა სასახლის სპორტულ წრეებში ხომ მხოლოდ სანიმუშო ყოფაქცევას და სწავლის მოწინავეებს ღებულობენ..

პატარები მხატვრული ტანვარჯიშის სექციის უფროს მასწავლებელთან ვ. ლაზარევასთან გაგზავნეს.

ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარული მრავალი ბავშვი მოდის აქ. ზოგს მხატვრული ტანვარჯიშის პლასტიკა და სინარნარე ჰხიბლავს, ზოგი გატაცებულია სპორტული ტანვარჯიშის მრავალფეროვანი ელეთებით, რომელთა შესრულება მოქნილობას, ძალასა და გამბედაობას მოითხოვს, ზოგი თოვლიანი მწვერვალების დაპყრობით — ალპინიზმითაა დაინტერესებული.

ბავშვებს თავიანთი სურვილისა და მიდრეკილებათა მიხედვით შეუძლიათ გამოავლინონ ნიჭი და უნარი ჭადრაკის თამაშში, შეისწავლონ სამხედრო საქმე, მონაწილეობა მიიღონ ტურისტულ ლაშქრობებსა და მოგზაურობებში. შეეჯიბრონ ერთმანეთს კალათბურთსა და ფრენბურთში, კლასიკურ ჭიდაობაში და სხვ. ყველა ზემოჩამოთვლილი და მრავალი სხვა სექცია ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა. მათს განკარგულებაშია შესანიშნავი სასპორტო დარბაზი და მოედნები.

სასახლის ალპინიზმისა და ტურიზმის კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობენ მ. ერისთავი და სპორტის დამსახურებული ოსტატი ალ. ჯაფარიძე, ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს. კაბინეტმა მრავალი ღირსშესანიშნავი ექსკურსია ჩაატარა მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინასა და გორში, ავრეთვე მოეწყო ალპინისტური ასვლები აღმოსავლეთ კავკასიონზე მდ. ხდეს ხეობაში. ამ ლაშქრობის შედეგად დაპყრობილ იქნა 8 მწვერვალი, ხოლო ერთ-ერთ მათგანზე პიონერთა სასახლის ჯგუფმა პირველი ასვლა მოახდინა, რომელსაც ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა სასახლის პიკი ეწოდა.

ამიტომაა, რომ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ნორჩ ფიზკულტურელთა დიდ რაოდენობას იზიდავს. აი, მრავლისმეტყველი ციფრები: სასახლის სპორტულ სექციებში ჩაბმულია თბილისის 59 სკოლის 736 მოსწავლე!

მათ სიყვარულით ზრდიან და აკაქებენ ფიზკულტურის დახელოვნებული მასწავლებლები და მწვრთნელები პ. იორდანიშვილი, ნ. მახვილაძე, ვ. ლაზარევა, თ. გეგელაშვილი და სხვები. შედეგებიც თვალსაჩინოა: მნახველი აღტაცებაში მოჰყავს მხატვრული ტანვარჯიშის სექციის წევრებს. მათ შორის აღსანიშნავია მ. გვენეტაძე, ზ. დიდებულიძე, ლ. ენუქიძე, ი. ბოროდინა, ლ. თმოდაშვილი და სხვები.

პიონერთა სასახლემ აღზარდა საუკეთესო კალათბურთელები, რომელთა გუნდმა ოდესაში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში მოსწავლეთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

აქვე აღიზარდნენ ნიჭიერი ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეები გ. ასათიანი, ზ. თავართქილაძე, ა. ქურციკიძე, ა. ლელეშვილი, გ. ხალათოვა...

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში სჩქეფს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. გული სიხარულით ივსება, როცა ჭადრაკის დაფასთან, ტანვარჯიშულ ხალიჩებზე, კალათბურთის ფარებთან, ფრენბურთის ბადესთან, სამხედრო საქმის, ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტებში ხედავთ ჯანსაღსა და ბედნიერ ბავშვებს — სპორტის მომავალ ოსტატებს.

ჭეშმარიტად ბედნიერია დიადი სტალინური ეპოქის მოზარდი თაობა. მასზე ზრუნავს საბჭოთა მთავრობა, კომუნისტური პარტია, საყვარელი ბელადი შობლიური სტალინი!

ე. უზნაძე,
თ. შატბერაშვილი.

* * *

სურათზე: ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხატვრული ტანვარჯიშის სექციის მეცადინეობა. წინა პლანზე —ქალთა 35-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ლეილა თმოდაშვილი.

ფოტო ჯ. ყუფარაძისა

ძალოსანთა შეჯიბრება

გასულ კვირას თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ჩატარდა „დინამოს“ და პროფკავშირების ძალოსანთა მატჩი.

პროფკავშირთა უძლიერესმა გუნდებმა თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში (6:2; 5:3).

საინტერესოდ ჩატარდა შტანგასტთა შეხვედრები. მიუხედავად იმისა, რომ „დინამოს“ გუნდში არ მონაწილეობდნენ სპორტის ოსტატები ვ. სვეტილკო, მ. ქლენტა და რ. ჩიმიშკიანი, პროფკავშირების წარმომადგენლებმა შეძლეს მათთვის მოეგოთ მხოლოდ 10 კილოგრამით და უჩვენეს საერთო ჯამი—1.795 კილოგრამი.

შეჯიბრებები კლასიკურ ჭიდაობაში დამთავრდა ფრედ—4:4.

ამრიგად მატჩის საერთო ჯამი უდრის 3½:½ პროფკავშირების ძალოსანთა სასარგებლოდ.

ოლიმპიადისთვის ჩვენს ქვეყანაში

★

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში მოჰიდავეთა ახალგაზრდა კადრების მოსამზადებლად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სპორტის დამსახურებული ოსტატი კონსტანტინე კობერიძე. საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი კ. კობერიძე ცნობილია, როგორც მდიდარი ტექნიკითა და ტაქტიკით აღჭურვილი ატლეტი. სურათზე: (ზევით): კ. კობერიძე ახალგაზრდა მოჰიდავე ი. ლიჩაგინს ფიტულზე უხსნის ერთ-ერთ ილეთს.

ფოტო ვ. სემიანოვისა



• • •

უკრაინის სსრ. ლვოვის ველოსიპედების ქარხანამ აითვისა ქალთა ველოსიპედების წარმოება. უკვე დამზადებულია პირველი ასეული მანქანა. სურათზე: ველოსიპედების პარტია მზადდება გასაგზავნად.

ფოტო ბ. ვასიუტინსკისა

(საკვდესი).

★

ჩვენი ქვეყნის უძლიერესი განმოვარჯიშენი

ლენინგრადი. (ჩვენი კორ.). დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა პირადი პირველობის საკავშირო გათამაშებამ.

საზამთრო სტადიონის ტრიბუნები, სადაც მიმდინარეობდა ტურნირი, მრავალრიცხოვანი მაყურებლით იყო სავსე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა სახეში მძაფრი ბრძოლები გაჩაღდა. ტანმოვარჯიშეთა ახალგაზრდა თაობა სასტიკ კონკურენციას უწევდა მრავალ ასპარეზობაში გამობრძმედილ უფროსი თაობის წარმომადგენლებს.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ცნობილი ოსტატები ვ. ჩუკარინი, ხ. სერი, ნ. თაყაიშვილი, გ. შაგინიანი, ვ. ლავრუშჩენკო, ვ. ბელიაკოვი, გ. ურბანოვიჩი, მ. გოროხოვსკაია, რ. ზაალიშვილი და სხვ.

ქალთა შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ გ. ურბანოვიჩი— რგოლებსა და ორძელზე, მ. გოროხოვსკაია — ღერძზე, ს. პოდუზდოვა —ხტომებში და წონასწორობაზე ვარჯიშში, პ. დანილოვა — თავისუფალ ვარჯიშში.

მამაკაცთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ა. აბადულაევმა — ღერძზე, მ. მურატოვმა — რგოლებზე, ი. ბერდიევმა— ხტომებში, ვ. ჩუკარინმა — ორძელსა და ტაიჭზე, ა. აბრამოვმა — თავისუფალ ვარჯიშში.

კალათბურთი

8 ქალაქის მაჯჩი

ტალინი. (ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა ჩვენი ქვეყნის 8 ქალაქის უძლიერეს კალათბურთელთა ტრადიციული XI მატჩი.

შეჯიბრების ბოლო დღისათვის თითო წაგება ჰქონდათ ტარტუსა და თბილისის ვაჟთა გუნდებს. 13 მარტს გამართულმა შეხვედრამ მათ შორის გადაწყვიტა პირველი ადგილის ბედი. ტარტუს კალათბურთელებმა მოახერხეს მეტად მძაფრი შერკინების მოგება (29:28) და პირველი ადგილიც მოიპოვეს.

მეორე ადგილზე თბილისის ვაჟთა კოლექტივი დარჩა.

მესამე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველები, მეოთხეზე—ყაუნასელები.

ქალთა შორის ადვილად გაიმარჯვა მოსკოვის პირველმა ნაკრებმა. თბილისელები მეექვსე ადგილზე არიან.

• • •

„ლელოს“ მორიგ ნომერში მოთავსებული იქნება ვრცელი წერილი 8 ქალაქის მატჩის შესახებ.

ფეხბურთი

ამხანაგური შეხვედრები

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა კოლექტივები გაცხოველებით ემზადებიან მომავალ საკავშირო შეჯიბრებისათვის. პირველი ჯგუფის ოსტატთა გუნდების უმრავლესობა უკვე გამოვიდა მოედანზე. ჩატარდა პირველი ამხანაგური შეხვედრები.

15 მარტს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ სამხედრო-საჰაერო ძალთა (ვვს) კოლექტივი და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი. სტადიონის ტრიბუნები მრავალრიცხოვანი მაყურებლით აივსო.

მოედანზე გუნდები შემდეგი შემადგენლობით გამოვიდნენ: **ვვს**— პირაევი; მეტელსკი, კრიჟევსკი, ნოვიკოვი; ოვჩინიკოვი, კოტოვი; კოროშუნოვი, ფედოროვი, ანისიმოვი, ხოდცევი, ყარკოვი; **ოფიცერთა სახლი** — ემელკოვი; ნიკურაძე, კეშელავა, ლოგინოვი; ვარდიაშვილი, ღლენტი; გვარამაძე, ავეტისოვი, ნაზაროვი, ტაბიძე (ცრელაშვილი), საკაშვილი.

მატჩის პირველ ნახევარში ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა. შესვენების შემდეგ მე-8 წუთზე გვარამაძემ კარგად გამოიყენა კრიჟევსკის შეცდომა და ბურთი მოწინააღმდეგის ბადეში მოაქცია.

მოსკოველები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ანგარიშის გათანაბრებისათვის. მათ მიაღწიეს მიზანს — მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ანისიმოვმა საპასუხო ბურთი გაიტანა და შეხვედრა დამთავრდა ფრედ—1:1.

ვვს-ის მეორე შემადგენლობამ მოიგო შეხვედრა თბილისის 35-ე სკოლის გუნდთან — 3:1.

საბჭოთა სპორტსმენები უნგრეთში

უნგრეთ—საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთობაში მონაწილეობის მისაღებად ბუდაპეშტს გაემგზავრა საბჭოთა ძალოსნების დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ვ. სვეტილკო, ა. მედვედევი, ე. ლოპატინი და სხვ.

სპორტული ქრონიკა

⊙ ქ. კალინინში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ციგურებით ფიგურულ სრიალში და ცეკვაში. მამაკაცთა შორის ინდივიდუალური შეჯიბრება მოიგო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ს. ვასილიევმა (მოსკოვი), ქალთა შორის — ი. ნიკოლაევამ (მოსკოვი). შერეულ წყვილთა სრიალში ბრწყინვალე ტექნიკა გამოამჟღავნეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ტ. გრანატკინამ და სპორტის ოსტატმა ა. ტოლმაჩევმა, ცეკვებში ყველას აჯობეს ა. ნეკრასოვამ და ა. იაკოვლევმა.

⊙ უფაში დამთავრდა კოლმეურნე მეთხილამურეთა შეჯიბრება საბჭოთა კავშირის პირველობაზე. გაიმარჯვეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა. პირად შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს საქართველოს გუნდის წარმომადგენლებმა ვ. კოზანაშვილმა და ა. ადაბიანცმა. პირველმა ყველას აჯობა სლალომში, ხოლო მეორემ—ტრამპლინიდან ხტომებში.

⊙ ქ. გორკში ჩატარდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ციგურებში. ქალთა შორის გაიმარჯვა რ. ჟუკოვამ, რომელმაც უკან მოიტოვა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი მ. ისაკოვა და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ზ. კროტოვა. მამაკაცთა შორის „დინამოს“ ჩემპიონის წოდება მოიპოვა პ. ბელიაევმა.

მოსკოველთა ნაირმაგება

სამი თვის განმავლობაში 1.000-ზე მეტი გუნდი იბრძოდა სატიო ჯილდოსთვის—რუსულ ჰოკეიში საბჭოთა კავშირის თასის ჯოპოვებისათვის.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამოს“ და კრასნოიარსკის „ტრაქტორის“ გუნდები.

ახალგაზრდა კრასნოიარსკელებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს გამოცდილ მოწინააღმდეგეს. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:0 მოსკოვის „დინამოს“ სასარგებლოდ.

მატჩის დამთავრების შემდეგ დინამოელებს გადაეცა ბროლის თასი. აღსანიშნავია, რომ ეს ჯილდო მათ მერვედ მოიპოვეს.

ნოდების მინიჭება

შეჯიბრებებში ხანგრძლივი დამოუკიდებელი სამსაჯო პრაქტიკის გამო ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: მოტო-ველოსპორტში ა. გუნიას (თბილისი), ჭადრაკში—პ. ხიზანიშვილსა და ვ. მალაშხიას (თბილისი).

სწავლებები საწარმოო პრაქტიკაზე

დედაქალაქის სკოლებში საწარმოო პრაქტიკას გადიან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები.

ქალთა პირველ საშუალო სკოლაში პრაქტიკანტები კ. ქორქია, თ. ჟამუტაშვილი, ე. ჩახლაძე, ო. გერაძე და სხვები მეთოდისტის შ. ელაშვილისა და სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის ვ. ტატიშვილის ხელმძღვანელობით სწავლობენ გაკვეთილის ჩატარების მეთოდებს, ამეცადინებენ სპორტულ სექციებს, უშვებენ ფიზკულტურულ კედლის გაზეთებს, აფორმებენ ფოტოვიტრინებს და სხვ.

ნორჩი მოკრივეები

დამთავრდა თბილისის მოსწავლეთა შეჯიბრება ქალაქის პირველობაზე კრივში. სამი დღის სინტერესო ბრძოლების შედეგად თავიანთ წონითს კატეგორიებში გაიმარჯვეს რონდელმა, ჩუგუნოვმა, წვერავამ, არუთინოვმა, ცაცაშვილმა, კეკუთიამ და სხვ.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ სპორტის ამ სახით დიდად არიან დაინტერესებული დედაქალაქის მოსწავლეები.

წოდების მინიჭება

შეჯიბრებებში ხანგრძლივი დამოუკიდებელი სამსაჯო პრაქტიკის გამო ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: მოტო-ველოსპორტში ა. გუნიას (თბილისი), ჭადრაკში—პ. ხიზანიშვილსა და ვ. მალაშხიას (თბილისი).

სწავლებები საწარმოო პრაქტიკაზე

დედაქალაქის სკოლებში საწარმოო პრაქტიკას გადიან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები.

ქალთა პირველ საშუალო სკოლაში პრაქტიკანტები კ. ქორქია, თ. ჟამუტაშვილი, ე. ჩახლაძე, ო. გერაძე და სხვები მეთოდისტის შ. ელაშვილისა და სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის ვ. ტატიშვილის ხელმძღვანელობით სწავლობენ გაკვეთილის ჩატარების მეთოდებს, ამეცადინებენ სპორტულ სექციებს, უშვებენ ფიზკულტურულ კედლის გაზეთებს, აფორმებენ ფოტოვიტრინებს და სხვ.

ნორჩი მოკრივეები

დამთავრდა თბილისის მოსწავლეთა შეჯიბრება ქალაქის პირველობაზე კრივში. სამი დღის სინტერესო ბრძოლების შედეგად თავიანთ წონითს კატეგორიებში გაიმარჯვეს რონდელმა, ჩუგუნოვმა, წვერავამ, არუთინოვმა, ცაცაშვილმა, კეკუთიამ და სხვ.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ სპორტის ამ სახით დიდად არიან დაინტერესებული დედაქალაქის მოსწავლეები.

მოსწავლეებმა აიგეს ბაზა

ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებს შორის მტკიცედაა დანერგილი სპორტსამდი სიყვარული. დირექციისა და კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით სკოლის მოსწავლეებმა საკუთარი ძალებით მოაწყეს სპორტული ბაზა ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის მოედნებით, მძლეოსნობის სექტორებით და სხვ.

ბ. ალშიბაია

ზუგდიდი.

გაცხოველებული ვაჭრობაა გაჩაღებული „დინამოს“ ჭ. თბილისის № 1 მაღაზიაში. თუ ფასების უკანასკნელ დაკლებამდე მაღაზია ყოველდღიურად საშუალოდ 5-6 ათას მანეთის საჭონელს ჰყიდდა, ახლა მისი დღიური შემოსავალი 10-11 ათას მანეთამდე აღწევს. ახალ სახპორტო სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის ბურთებზე, მძლეოსნურ და სხვა სპორტულ ინვენტარზე. სურათზე: ნორჩი ფიზკულტურელები „დინამოს“ მაღაზიაში.

ფოტო მ. დათუაშვილისა.

უცხოეთში

მსოფლიოს პირველობა ციგურაებში მამაკაცთა შორის

ქალაქ ესკილსტუნაში (შვეცია) გათამაშდა 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატი საციგურო სპორტში მამაკაცთა შორის. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ნორვეგიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჰოლანდიის, კანადის, ფინეთის, შვეციის და სხვა ქვეყნების უძლიერესმა მოციგურეებმა.

ქვემოთ მოგვყავს დისტანციებზე ნაჩვენები საუკეთესო შედეგები და გამარჯვებულთა გვარები: 500 მ. — უერკეტი (აშშ) — 47,3; 1.500 მ. — უერკეტი (აშშ) — 2:32,1; 5.000 მ. — ანდერსენი (ნორვეგია)—9:15,4; 10.000 მ.—ანდერსენი — 17:40,8.

მრავალჭიდის საერთო ჯამის მიხედვით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ნორვეგიელი ანდერსენი (210.330). მეორე ადგილზეა ლუნდბერგი (შვედეთი).

• • •

კოლორადოს შტატში (ამერიკის შეერთებული შტატები), ჩატარდა მსოფლიო პირველობის გათამაშება სლალომში, სწრაფდაშვებაში და გიგანტურ სლალომში.

მაგიდის ჩოგბურთი

ბუდაპეშტში გათამაშდა მსოფლიოს პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, იტალიის, შოტლანდიის და სხვ., სულ 19 ქვეყნის წარმომადგენლები.

ნახევარფინალურ მატჩებში მამაკაცთა შორის ჩეხოსლოვაკიის გუნდმა დაამარცხა (5:4) იტალიის სპორტსმენები, უნგრელებმა მოუგეს (5:3) საფრანგეთის წარმომადგენლებს. ფინალში გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის კოლექტივმა—5:3.

ქალთა შორის ფინალში ერთმანეთს შეეჯიბრნენ რუმინელები და უნგრელები. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს რუმინელებმა.

პირად ტურნირში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ მამაკაცთა შორის ბერგმანი (იტალია), ქალთა შორის—როზეანუ (რუმინეთი).

ძმები პლატოვების ეპიზოდის გადაწყვეტა

(იხილე გაზ. „ლელო“ № 3)

1. კე7-ფ6 დ5-დ4; 2. რე1-ე2! ა2-ა1ლ; 3. რე2-ც1 ლა1-ა5; 4. კფ6:დ4+ბე3:დ4 (—დ2); 5. რც1-ბ3+ და თეთრები იგებენ.

მძიმე წონის მოჭიდავეები და გულკეთილი მსაჯი

ეს ამბავი ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა...

ბათუმის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტმა საქალიფიკაციო შეჯიბრება ჩაატარა კლასიკურ ჭიდაობაში.

როცა ჯერი მძიმე წონის მოჭიდავეებზე დადგა მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ პირველი თანრიგოსნები ვ. კუპატაშვილი და გ. აბაიშვილი. ყველა მოელოდა, რომ ქალაქში საკმაოდ ცნობილი მოჭიდავეები მაღალ ოსტატობას გამოავლენდნენ, მაგრამ... ეს ასპარეზობა თავიდანვე უჩვეულოდ დაიწყო: მოწინააღმდეგენი უხეშად არღვევდნენ ელემენტარულ წესებს. ისინი თავიანთი უტაქტო მოქმედებით ხშირად სასაცილო მდგომარეობაშიც კი ვარდებოდნენ, ხოლო მსაჯებს ხშირად უხდებოდათ „სიმარდის“ გამოჩენა მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად ამისა, მთავარი მსაჯი მომინოშვილი მოლოდ გაფრთხილებების მიცემით კმაყოფილდებოდა და შეხვედრის პირველი ნახევრის დამთავრების შედეგები იმის მიხედვით განსაზღვრა, თუ რომელ მოჭიდავეს რამდენი გაფრთხილება ჰქონდა მიღებული. პირველი ნახევარი აბაიშვილის „უპირატესობით“ დამთავრდა.

შესვენების შემდეგ სურათი კარგა ხანს არ შეცვლილა. კვლავ უარზო „ხეტიალი“ ხალიჩაზე, დაუშვებელი ფანდები, ხელის კვრა... მეთვრამეტე წუთზე აბაიშვილმა კუპატაშვილს ლეგს გადაუმა ფანდი გაუკეთა, რის გამო ორივენი ნახერხზე გადავარდნენ. ამან მაყურებელთა დიდი სიცილი გამოიწვია.

როგორც იქნა მსაჯმა გააშველა ლეგებს იქით გაშხლართული მოწინააღმდეგეები, განრისხებულმა კუპატაშვილმა სცადა „ჭკუა ესწავლებინა“ არამკითხე მსაჯისათვის, მაგრამ უკანასკნელმა „თავს უშველა“...

შეჯიბრება შეწყდა. დარბაზში დიდი ხმაური ატყდა. აბაიშვილს ექიმი ტუჩებიდან სისხლს, სწმენდდა, კუპატაშვილი კი, რომელსაც თავიდან სდიოდა სისხლი, სთხოვდა ექიმს შეემოწმებინა... ნაკბენი.

— ნამდვილად ნაკბილარია, — დაეწონა ექიმი,—როცა დავარდით, თქვენს მოწინააღმდეგეს ალბად პირი ღია ჰქონდა და შემთხვევით თუ მოგხვდათ კბილი... თავში! ანუგეშებდა ასე...

მიუხედავად საშინელი აურზაურისა, მსაჯთა კოლეგია „არ დაიბნა“ და გამარჯვება აბაიშვილს მიაკუთვნა, კუპატაშვილი კი შეჯიბრებიდან მოხსნა.

ბათუმის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტმა სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანოს ამ შეხვედრიდან.

შ. გაბროშვილი

ბათუმი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
მ. კაკაბაძე

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 15.000 ᲣᲒ 01800